დადგენილება №3/2020 კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტისა და კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის დებულებებში 2019 წლის 14 იანვარს შეტანილი ცვლილებებების (მე-3 მუხლის 3.2. პუნქტი) გაუქმებისა და პირვანდელი მდგომარეობით დაბრუნების შესახებ

დადგენილება №3/2020

17 თებერვალი , 2020

დადგენილება №3/2020 კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტისა და კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის დებულებებში 2019 წლის 14 იანვარს შეტანილი ცვლილებებების (მე-3 მუხლის 3.2. პუნქტი) გაუქმებისა და პირვანდელი მდგომარეობით დაბრუნების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-11 მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, კონსერვატორიის წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 17 თებერვლის N02 სხდომის ოქმის საფუძველზე,

წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. გაუქმდეს კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტისა და კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის დებულებებში 2019 წლის 14 იანვარს შეტანილი ცვლილებებები (მე-3 მუხლის 3.2. პუნქტი) და დაბრუნდეს პირვანდელი მდგომარეობით.

2. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებგვერდზე **www.tsc.edu.ge**

3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).

4. დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე.

ირაკლი ევსტაფიშვილი

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი